

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
დ. აღმაშენებლის გამზ. N150, 0112, საქართველო, თბილისი

„მესტიაჭალა 1“ ჰესის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შეცვლის განცხადება

10 იანვარი, 2023 წელი

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში - „**მინისტრი**“) 2020 წლის 23 ოქტომბრის N2-968 ბრძანების თანახმად, სს „სვანეთი ჰიდროს“ 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის „მესტიაჭალა 1“ ჰესი-110/35 ე/ს კახარი, 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის „მესტიაჭალა 2“ ჰესი-110/35 ე/ს კახარი, ე/ს 110/35 კახარის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (შემდგომში - „**ბრძანება N2-968**“).

ამასთანავე, „მინისტრის“ 2020 წლის 23 ოქტომბრის N2-969 ბრძანების საფუძველზე, სს „სვანეთი ჰიდროს“ მდ. მესტიაჭალაზე 20 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მესტიაჭალა 1 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (შემდგომში - „**ბრძანება N2-969**“) (შემდგომში - „**ბრძანება N2-968**“-ით და „**ბრძანება N2-969**“-ით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „**გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები**“).

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სს „სვანეთი ჰიდროს“ და შპს „მესტიაჭალა ენერჯის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405539252) შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „მესტიაჭალა 1“ ჰიდროელექტროსადგურის აქტივების ნასყიდობის შესახებ (შემდგომში - „**ნასყიდობის ხელშეკრულება**“). „ნასყიდობის ხელშეკრულების“ საფუძველზე, შპს „მესტიაჭალა ენერჯიმ“ შეიძინა „მესტიაჭალა 1“ ჰიდროელექტროსადგურის ყველა აქტივი. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ბრძანება N2-969“-თან მიმართებაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად გადაეცეს შპს „მესტიაჭალა ენერჯის“, ხოლო „ბრძანება N2-968“-თან მიმართებაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „მესტიაჭალა ენერჯის“ გადაეცეს ნაწილობრივ, კერძოდ კი „მესტიაჭალა 1“ ჰიდროელექტროსადგურთან მიმართებაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 19 სექტემბერს გამოცემული ბრძანება N 2-686 -ის მიხედვით, 2020 წლის 23 ოქტომბრის N2-969 ბრძანების

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
„12“ 01 2023წ.
№ 155

საფუძველზე, სს „სვანეთი ჰიდროს“ მდ. მესტიაჭალაზე 20 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მესტიაჭალა 1 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „მესტიაჭალა ენერჯის“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „მესტიაჭალა ენერჯი“ მოგმართავთ თხოვნით გარემოს დაცვით გადაწყვეტილების პირობების შეცვლის თაობაზე. ცვლილებები ძირითადად ეხება მესტიაჭალა 1 ჰესის სათავე ნაგებობას, სათავე ნაგებობის და რეზერვუარის დამაკავშირებელ მილსადენს. მოცემულ ცხრილში ასახულია ჰიდრო ელექტრო სადგურის ექსპლუატაციის საბაზისო (თავდაპირველი) პროექტის მიხედვით განსაზღვრული და პროექტში დაგეგმილი გარემოსდაცვითი ცვლილების შეტანის შედეგად ჩამოყალიბებული პირობები:

პარამეტრი	განზომილება	სიღრმე	
		საბაზო(პირველი) პროექტის მიხედვით	გარემოსდაცვითი პირობების ცვლილების მიხედვით(ასაღო პროექტი)
ჰესის დამოუკიდებელი სიმძლავრე	მგვტ	20	20
ელექტროენერჯიის წლიური გამომუშავება	გვტ.სთ/წელი	68.60	68,8
სრული დაწნევა	მ	207.5	207.5
კაშხალი	-	ბეტონის ფილს, 30 სმ სიმაღლეს ზღურბლთა 2.8 მ სიმაღლეს გადასარავი ფრით	გვერდითი ტიპის წყალმიმღები
წყალმიმღები	-	გვერდითი	გვერდითი
წყალმიმღების ხარჯი	მ ³ /წმ	12	12
სალექარი	-	ერთსექციანი	სამ/ოთხ სექციანი
დაბალდაწნევიანი მიმყვანი მილხაენი	მ	150	442
მიმყვანი მილხაენის დამატარი	მმ	2200	1500
სამარაგო რეზერვუარის სასარგებლო მოცულობა	მ ³	10,000	10,000
სადწნეო მილხაენის საერთო სიგრძე	მ	1,860	1,860
სადწნეო მილხაენის დამატარი:			
• I = 470 მ	მმ	2,200 მმ	2,200 მმ
• I = 725 მ		2,000 მმ	2,000 მმ
• I = 665 მ		1,800 მმ	1,800 მმ
სადწნეო მილხაენის კედლის სისქე	მმ	16-18	16-18
სატურბინო მილხაენის სიგრძე (2 ერაუელი)	მ	25	25
სატურბინო მილხაენის დამატარი	მმ	1,400	1,400

შესის შენობის ტიპი	-	მიწისზედა	მიწისზედა
ტურბინების რაოდენობა	ერთ	2	2
ტურბინების ტიპი	-	პელტონის, ვერტიკალური.	პელტონის, ვერტიკალური.
ტურბინების მაქსიმალური სიმაღლე	მგვტ	2 x 10.85	2 x 10.85
ტურბინების ბრუნვის სიჩქარე	ბრ/წთ	375	375
გენერატორების რაოდენობა	ერთ	2	2
გენერატორების ნომინალური სიმაღლე	მვა	22.5	22.5
ქვესადგურის ტიპი	-	დნურული	დნურული

აღნიშნული ცვლილებების უპირატესობები:

- 1) ყველა კვლევის და სწავლების მიხედვით, რაც ასევე წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტაციაში, ცვლილების შედეგად გათვალისწინებული წყალმიმღების განლაგებისთვის შერჩეული ტერიტორია არის გაცილებით უსაფრთხო, მოშორებულია საშიშ ზონებს და შესაბამისობაშია პოტენციურ საფრთხეებთან და რისკებთან მიმართებაში.
- 2) გვერდითი წყალმიმღების მეშვეობით მხოლოდ მცირე ზომის ნატანი ნაწილაკები მოხვდება სალექარში, შესაბამისად სალექარს არ დასჭირდება ხშირი გარეცხვა. გვერდითი ტიპის წყალმიმღები აღჭურვილია ჩამკვეთ-მარეგულირებელი ფარით, რომელიც წყალს იღებს წყალმიმღების ნაგებობის ძირიდან, რაც ზამთრის პერიოდის დროს გამორიცხავს გაყინვას, შესაბამისად არ დასჭირდება დამატებითი საექსპლუატაციო-სარემონტო სამუშაოები.
- 3) მოცემული მიმეცანი მილსადენი იქნება ფოლადის, რაც უფრო გაზრდის მის გამძლეობას.
- 4) აღნიშნული სამ/ოთხ კამერიანი სალექარი საკმაოდ სასარგებლოა ტურბინის რეგულირებისთვის.

ასევე გაცნობებთ, რომ შპს „მესტიაჭალა ენერჯი“ აცხადებს მზაობას, ანგარიშის შესწავლის პროცედურის უწყვეტობის მიზნით ინფორმაციის შესწავლის პროცესის განმავლობაში, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და შესაბამის დაზუსტებები, რაც მოთხოვნილი იქნება გარემოს დაცვის სააგენტოს ექსპერტების მხრიდან.

წერილს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტაცია:

- შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ მომზადებული გარემოს დაცვის პირობებში ცვლილების ანგარიში.
- შპს „ჰაიდრო დიაგნოსტიკი“-ს მიერ მომზადებული ადრეული შეტყობინების სისტემების მონტაჟის და ექსპლუატაციის პირობების აღწერა და ანალიზი.

- Baugeologisches Büro Bauer-ის წარმომადგენლის Dr. Peter Neumann-ის და BOKU (University of Natural Resources and Life Sciences (BOKU), Vienna, Austria) უნივერსიტეტის წარმომადგენლის Dr. Sven Fuchs -ის დასკვნა ლეხზირის მცინვარზე არსებულ მდგომარეობის შესახებ ინგლისურ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- მცინვარებზე დავკვირვების ანგარიში.
- ელექტრონულ დისკზე განთავსებული ინფორმაცია
- პირობების შეცვლასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები

ასევე გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება უახლოეს პერიოდში.

პატივისცემით,

შპს „მესტიაჭალა ენერჯი“



ნინო ცხადაია
დირექტორი